საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ზ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი თ. თ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 062/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ა. კ.- ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 22 ივლისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ზ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 24 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ზ.-მ თავის წარმომადგენელთან - თ. თ.-სთან ერთად მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. იყო მოწინააღმდგე მხარის - ნ. მ.-ის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ საქმეზე N, სადაც გ. ზ. წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს და ითხოვდა მოწინააღმდგე მხარის - ნ. მ.-ის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემას. 2022 წლის 13 იანვრის განჩინების საფუძველზე, სასამართლომ დახურა აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე ყველა სასამართლო სხდომა, რადგან საქმე ეხებოდა ორ არასრულწლოვან პირს. სასამართლოს საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოცხადდა 2022 წლის 6 ივლისის სასამართლო სხდომაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 3 ივლისს, ადვოკატმა ა. კ.-მა ააიპ ,,ა. ა.-ის" ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია, სახელწოდებით -„*********", აღნიშნულ სტატიაში დაწვრილებით არის აღწერილი ადმინისტრაციულ საქმეზე N ჩატარებულ დახურულ სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილე პირების - სოციალური მუშაკების, სოციალური სამსახურის წარმომადგენლის, ფსიქოლოგისა და ბავშვების ადვოკატის ახსნა-განმარტებები, დასმულ კითხვებზე მათ მიერ გაცემული პასუხები, პაექრობისა და რეპლიკის სიტყვები. აღნიშნული სტატიის გასაჯაროვებით ადვოკატმა ა. კ.-მა არ დაიცვა კონფიდენციალურობის ვალდებულება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. არის ა(ა)იპ ,,ა. ა."-ს სადამფუძნებლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი და იმავდროულად - ხელმძღვანელი, იმის გათვალისიწინებით, რომ ადვოკატისთვის სრულად ხელმისაწვდომი იყო საქმის მასალებიც და სხდომების შინაარსიც ეს იმაზე უთითებს, რომ აღნიშნული საჯარო სტატიის ავტორი არის თავად ადვოკატი ა. კ. მიუხედავდ იმისა, რომ სტატიაში მთხრობელად მითითებულია იურიდიული პირი - ა(ა)იპ ,,ა. ა.".

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, გ. ზ.-ის და ნ. მ.-ის ადმინისტრაციულ დავასთან დაკავშირებული საქმის სასამართლო სხდომებს ესწრებოდა მხოლოდ ადვოკატი ა. კ. შესაბამისად, ერთადერთი პირი ვისაც შეეძლო დახურული სასამართლო სხდომიდან ინფორმაციის გატანა არის ადვოკატი - ა. კ. ამასთან, ადვოკატი პროცესის მიმდინარეობისას აკეთებდა წერილობით ჩანაწერებს და ჩნდება დასაბუთებული ეჭვი ინფორმაციის ა. კ.-ის მიერ გასაჯაროების თაობაზე.

1.6 წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 1 ივლისს სასამართლოს მიმართა სხდომის ოქმის გადაცემის თხოვნით. აღნიშნული სხდომის ოქმი მხარეს ჩაბარდა 2022 წლის 6 ივლისს. სტატია ,,ა. ა."-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია 2022 წლის 3 ივლისს, რაც ადასტურებს, რომ სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილების ოფიციალურ ჩაბარებამდე მოხდა დახურული სასამართლო პროცესის სხდომის შინაარსის გასაჯაროვება ადვოკატ ა. კ.-ის მიერ.

1.7 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ააიპ ,,ა. ა."-ის წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით - ორგანიზაციის ხემლძღვანელი: ,,წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, გადასცემს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სადამფუძნებლო საბჭოს/კაბინეტის წევრს." აღნიშნული მუხლის სუბიექტს არ წარმოადგენს ლ. ზ. პირი რომელსაც უთითებს სტატიის ავტორად ა. კ. ლ. ზ. -სათვის აღნიშნული უფლებამოსილების გადაცემა მაინც არ ათავისუფლებს ა. კ., როგორც ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობისგან. ა. კ. ვალდებულია ორგანიზაციის

სახელით განსახორციელებელი ქმედებები გაანალიზოს, შეაფასოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა მან ხელი შეუწყო თანამშრომელს კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროვებაში.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ა. კ.-ის არგუმენტი, რომელიც ეხება ინფორმაციის გასაჯაროვებისას კლიენტის - ნ. მ. -ის თანხმობას, ყოველგავრ აზრს მოკლებულია, რადგან კლიენტის თანხმობაზე არ არის დამოკიდებული ინფორმაციის გასაჯაროვება, რომელიც ეხება დახურულ სასამართლო სხოდმაზე მიღებულ ინფორმაციას, კლიენტს მხოლოდ ისეთ ინფორმაციაზე შეუძლია თანხმობის გაცემა რომლის წყაროც არის თავად ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კლიენტის თანხმობა ვერ გადაწონის სასმართლოს ისეთ იმპერატიულ უფლებამოსილებას როგორიც არის სხდომის დახურვა და მხარეთა დავალდებულება არ გაახმარუონ დახურულ სხდომაზე მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 1 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ გ. ზ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2022 წლის 24 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ა. კ.-მა მხარი დაუჭირა წერილობით ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილ დასაბუთებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის ახორციელბდა საჩივრის ავტორის - გ. ზ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის ნ. მ.-ის წარმომადგენლობას, ადმინისტრაციულ დავაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ნ. მ.-ის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის არის ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ის სადამფუძნებლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, აღნიშნული კომპანია არ არის იურიდიული ფირმა. ორგანიზაცია რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, ორგანიზაციის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

2.4 ადვოკატი უთითებს, გ. ზ.-ის მიერ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის ფარგლებში, განმცხადებელმა მოითხოვა შვილების საცხოვრებლად დროებით, 9 თვის განმავლობაში გადასულიყვნენ ბებია - ნ. მ.-ის საცხოვრებელი სახლიდან მოქმედ პროკურორ ზ. კ.-ს ოჯახში. პროკურორი ზ. კ. გახლავთ ბავშვების მამის სიძე, ხოლო ამ მოთხოვნას საფუძვლად დაედო საქმეზე წარმოდგენილი გაყალბებული დასკვნები, აღნიშნული საკითხი ორგანიზაცია ,,ა. ა.“-მა დეტალურად შეისწავლა რასაც, ნ. მ.-ის თანხმობის შემდეგ მიეცა საჯარო განცხადების სახე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ,,ა. ა.“-ის ვებ. გვერდზე 2022 წლის 3 ივლის გამოქვეყნებული სტატიის: „**********“, ავტორი არ არის ის. ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებებზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ,,ა. ა.“, რაც გაწერილია ორგანიზაციის წესდებით, საჯარო განცხადებები მზადდება ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ და საჯარო განცხადებების მომზადების კომპეტენცია და უფლებამოსილება ეკუთვნის არა ორგანიზაციის ხელმძღვანელს - ა. კ.-ს, არამედ საამისოდ შერჩეულ უფლებამოსილ პირს, შესაბამისად რადგან ადვოკატ ა. კ.-ს არ აქვს აღნიშნული უფლებამოსილება მინჭებული ის ვერ

იქნება გამოქვეყნებული სტატიის ავტორი. ადვოკატის განმარტებით, ,,ა. ა.“-ს სახელით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცელდებოდა ლ. ზ.-ს მიერ, რომელიც არის ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ს კომუნიკაციის მენეჯერი, კერძოდ ის ორგანიზაციაში ხელმძღვანელობს სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესს, ახდენს საჯარო ინტერესების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებას. გ. ზ.-სა და ნ. მ.-ს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების უფლებამოსილება ჰქონდა ლ. ზ.-ს, ვინაიდან 2022 წლის 6 იანვრის მინდობილობით მას აქვს მინიჭებული ნ. მ.-ის წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მან ნ. მ.-ის, როგორც კლიენტის თანხმობის საფუძველზე გაავრცელა საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ა(ა)იპს ,,ა. ა.“-ის სახელით, აღსანიშნავია, რომ ლ. ზ. არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მასზე ვერ გავრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ,,ა. ა.“-ის ავტორობით გამოცემული საჯარო სტატია გ. ზ.-ისა და ნ. მ. -ის საქმესთან დაკავშირებით, თავისი შინაარსით არ არღვევს დახურული სასამართლო სხდომის პრინციპს, რადგან საჯარო განცხადებაში საუბარია არა - სხდომების, არამდე დამასრულებელი სხდომის თაობაზე, ხოლო საჯარო განცხადებით გავრცელდა არა საქმის კონკრეტული შინაარსი ან მთლიანად სხდომის ოქმი, რომელიც მოიცავს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე მითითებას, არამედ სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგის, საზოგადოებრივი ადვოკატის ჩვენების ანალიზი მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. ორგანიზაციას თავის არც ერთ საჯარო განცხადებაში არ მიუთითებია არასრულწლოვნისა და მხარეების ვინაობა და საქმეში არსებული მტკიცებულებები. ორგანიზაცია იცავს იმ სტანდარტს, რაც ეხება დახურული სხდომის პრინციპს. საჯარო განცხადების მიზანს წარმოადგენდა ნ. მ.-ის საუკეთესო ინტერესების დაცვა და საზოგადოების ზოგადი ინფორმირება, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მაღლი საჯარო ინტერესის გათვალისიწნებით.

2.7 ადვოკატი უთითებს, რომ მას არ დაურღვევია კანონიერების პრინციპი, რადგან ორგანიზაციისთვის დახურულ სხდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია მისგან არ გამხდარა ცნობილი, აღნიშნული სტატიის განმცხდებელი იყო ლ. ზ. , რომელიც ამვდროულად არის ნ. მ.-ის წარმოამდგენელი, შესბამსიად მან სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია მიიღო კლიენტისგან, ამასთან, სტატიაში მითითებული არ ყოფილა მოდავე მხარეთა ვინაობა. სტატიაში მითითებული იყო მხოლოდ წარმომადგენელთა და სოციალურ მუშაკთა თუ ფსიქოლოგთა სახელები. სტატია არ წარმოადგენდა სხდომის ოქმის გამეორებას, არამედ დოკუმენტში გამოყენებული იყო მხოლოდ სოციალურ მუშაკთა/ფსიქოლოგთა ნააზრევი, აღნიშნულის ანალიზის მიზნით. შესაბამისად, 2022 წლის 3 ივლისს, ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საჯარო განცხადება მომზადდა კანონიერი საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე, კანონის მოთხოვნათა დაცვით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. კ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზიცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 გ. ზ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 22 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2022 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ა. კ.-მა გ. ზ.-ისა და ნ. მ.-ის ადმინისტრაციულ საქმეზე N დაარღვია დახურული სასამართლო სხდომის პრინციპი, კერძოდ მან გაავრცელა დახურულ სასამართლო სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაცია ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ს ვებ-გვერდზე სტატიით -„**********“. აღნიშნული სტატიის შინაარსი შეიცავს დახურული სასამართლო სხდომის ყველა დეტალს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება ადვოკატის მიერ დახურულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებული ინფორმაცის გავრცელებას, იმსჯელა შემდეგი მუხლების შესძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: საადვოკატო საქმიანობის პრინციპია კანონიერება.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს''.

5.3 ,,საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №074/16).

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.

5.5 საპროცესო კოლეგია საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შესწავლის საფუძველზე დადგენილ ფაქტად მიიჩნევს, რომ 2022 წლის 3 ივლისს ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია -„**********“. საჩივრის ავტორი - გ. ზ. უთითებს, რომ აღნიშნული სტაატიის ავტორია ადვოკატი ა. კ., რადგან ის არის ,,ა. ა.“-ს ხელმძღვანელი და ამავდროულად ის პირი ვისაც აქვს ინფორმაცია გ. ზ.-ის და ნ. მ.-ის საქმეზე დახურულ სასამართლო სხდომებთან დაკავშირებით. ვინაიდან, მოცემული სტატიის შინაარსი ხსენებულ საქმესთან უშუალო კავშირშია, არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ აღნიშნული საჯარო ინფორმაციის გამავრცელებელია ადვოკატი - ა. კ. ადვოკატი სადავოდ ხდის აღნიშნულ ფაქტს და განმარტვას, რომ დახურულ სასამართლო სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციის გავრცელების წყაროს არ წარმოადგენდა ის და არც თავად ყოფილა სტატიის ავტორი, რადგან ,,ა. ა.-ში“ მისი უფლებამოსილება შემოფარგლულია ხელმძღვანელობითი მოვალეობების შესრულებით და ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება მის მოვალეობებში არ შედის. გარდა ამისა, ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სტატიაში მოხსენიებული არ არიან მოდავე მხარეები და სტატიის შინაარსი ეხება სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა დასკვნების ანალიზს.

5.6 საქმისწარმოების მასალებით დასტურდება, რომ სადავო სტატია გამოქვეყნებულია 3 ივლისს, მაშინ როცა ადვოკატმა ა. კ.-მა სასამართლო სხდომის ოქმი მიიღო 6 ივლისს. ამასთან, სასამართლო პროცესს ესწრებოდა მხოლოდ ადვოკატი ა. კ. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 6 ივლისს ჩაიბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი, საქმეზე N, სადაც მითითებულია, რომ „მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმების აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაუმჟღავნებლობაზე.“ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა დაარღვია აღნიშნული დანაწესი და სხდომის ოქმების აუდიო-ვიდეო ჩანაწერები სხვა პირებს გაუზიარა. ასევე დასტურდება, რომ საქმეში წარმოდგენილი N მინდობილობით, გარდა ადვოკატ ა. კ. -ისა, ნ. მ.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჰქონდა ლ. ზ.-ს, რომელიც თავის მხრივ ა(ა)იპ ,,ა. ა.“-ს კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის უფლებამოსილებას ასრულებს. შესაბამისად, ის არის ორგანიზაციის სახელით საჯარო განცხადებების გაკეთებაზე პასუხისმგებელი პირი. გამომდინარე აქედან, არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა სადავო სტატია. საქმის წარმოების მასალებით ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება თუ ვინ არის სადავო სტატიის ავტორი; ვისგან მიიღო ინფორმაცია სტატიის ავტორმა და აღნიშნულ პიროვნებას წარმოადგენს თუ არა უშუალოდ ადვოკატი ა. კ.

5.7 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება ადვოკატ ა. კ.-ის მხრიდან კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, სტატიის შექმნაში მონაწილეობა, საყურადღებოა თვითონ სტატიის შინაარსი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადვოკატმა ა. კ.-მა ახსნა-განმარტებასთან ერთად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სადავო სტატია, სადაც მითითებულია მხოლოდ მოდავე მხარეთა წარმომადგენლების; საქმისმწარმოებელი პირებისა და სოციალურ მუშაკთა/ფსიქოლოგთა ვინაობა. თავად მოდავე მხარეთა და არასრულწლოვნის ვინაობა, ისევე როგორც სასამართლო საქმის ნომერი სტატიაში მითითებული არ არის. სტატიის შინაარსი არ მოიცავს დახურული სხდომის ოქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებას და წარმოადგენს საქმის ფაბულის ზოგად აღწერასა და სოციალურ მუშაკთა/ფსიქოლოგთა დასკვნების ანალიზსა და მათ შეფასებებს. სტატია გამოქვეყნებულია არა მოწინააღმდეგე მხარეზე ზეწოლის მოხდენის, არამედ ნ. მ.-ის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერითა და ორგანიზაციის წესდებით დასტურდება, რომ ადვოკატი ა. კ. წარმოადგენს ორგანიზაციის ,,ა. ა.“-ის სადამფუძნებლო საბჭოს წევრს. ა. კ. წარმოადგენს ადვოკატს და საქმიანობის განხორციელებისას შეცნობადია როგორც ადვოკატი. ამასთან, როგორც პროცესის მონაწილე პირს, მას ევალებოდა არ გაემჟღავნებინა დახურული სასამართლო სხდომის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი. საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, რომ ადვოკატმა გაამჟღავნა დახურული სასამართლო პროცესის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი, თუმცა ფაქტია, რომ დახურული სხდომის დეტალების შესახებ ინფორმაციის ნაწილი ასახული იყო სტატიაში. საპროცესო კოლეგია ადვოკატ ა. კ.-ის საყურადღებოდ განმარტავს, რომ მართალია დასახელებულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, თუმცა ადვოკატი ვალდებულია განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს დახურული პროცესებიდან გამომდინარე ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის ყურადღება მიაქციოს მის მიერ დასაქმებულ პირთა/თანამშრომელთა ქმედებას - სტატიების; მედია რელიზისა თუ სხვა დოკუმენტების შექმნისას ან გამოქვეყნებისას განსაკუთრებული წინდახედულება გამოიჩინონ, რომ შეცნობადი არ იყოს საქმისწარმოებაში მონაწილე პირთა ვინაობები და საქმისწარმოების მნიშვნელოვანი დეტალები.

5.9 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული პრეტენზიების ნაწილში, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა), ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №062/22 ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ /სიითი N/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/